ხელშეკრულება N 77

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 30 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") გამგებლის **ტარიელ ებრალიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს "სი-ტი პარკ"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბ.ლაჰავის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის" მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ავტოსადგომთა მომსახურების (ერთწლიანი პარკირების უფლება) შესყიდვა

2.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების(ტოიოტა ფორტუნერი ,სახელმწიფო ნომერი **MMV-091** და **ტოიოტა პრადო** სახელმწიფო ნომერი **DCD878**)

2.3. კლასიფიკატორის კოდი: CPV**63712400**-ავტოსადგომთა მომსახურებები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.**

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3. ანგარიშსწორება მოხდება 2016 წლის შუახევის მუნიციპალიტეტოს ბიუჯეტიდან, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ანგარიშსწორების დღიდან მომდევნო წლის სესაბამის კალენდარულ დღემდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6,1,1 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს კომპანიას და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6,1,2 მოსთხოვოს კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6,1,3 გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია

6,2,1 სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების“ საფასური

6,2,2 გამოიყენოს „მომსახურება“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6,2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის

არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

13. რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შუახევის მუნიციპალიტეტი
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი:TRESGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022
ს/კ 247865145

გამგებელი

ტარიელ ებრალიძე

„მიმწოდებელი"

შპს "სი-ტი პარკ"
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N47
ს/კ 204543770
სს „რესპუბლიკა ბანკი"
ბ/კ REPLGE22
ა/ა GE90BR0000010608618945

გენერალური მენეჯერი

ბ.ლეჟავა